ICT

quality matters



COMPANY PROFILE

საქმიანობის ძირითადი სფეროები

პროფესიონალი თანამშრომლების დახმარებით კომპანია გთავაზობთ მაღალი ხარისხის პროდუქციასა და მომსახურებას ისეთი მიმართულებებით, როგორიცაა პროექტირება, კონსულტაცია, სამონტაჟო სამუშაოების შესრულება, ზედამხედველობა და შემდგომი საგარანტიო მომსახურება. კომპანიის პერსონალი მუდმივად ივითარებს საკუთარ უნარ-ჩვევებს მწარმოებელი კომპანიების მიერ გამართულ სასწავლო კურსებზე.

კომპანიის საქმიანობის ძირითადი სფეროები გახლავთ:

- ✓ გათბობისა და კონდიცირების სისტემები (საპროექტო-საინჟინრო, მონტაჟი და რემონტი)
- ✓ წყლით მომარაგების, შიდა საკანალიზაციო და წვიმის სანიაღვრე ვაკუუმური სისტემები (საპროექტო-საინჟინრო სამუშაოები, მონტაჟი და რემონტი)
- ✓ ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის პასიური სისტემები (საპროექტო-საინჟინრო სამუშაოები, მონტაჟი და რემონტი)
- ✓ ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის აქტიური სისტემები (გამოიყენება სპრინკლერები და დრენჩერები, გაზითა და თქორით ქრობის სისტემები; ქაფით ქრობის საშუალებები; რესტორნების სამზარეულოებისთვის განკუთვნილი ხანძარქრობის სისტემები და მშრალი ქიმიკატები (საპროექტო-საინჟინრო სამუშაოები, მონტაჟი და რემონტი)).

საქართველოში ჩვენ წარმოვადგენთ მსოფლიო ბაზარზე აღიარებულ ბრენდებს:

GEBERIT

მსოფლიოს უამრავ ქვეყანაში წარმოდგენილი კომპანია Geberit Group სანიტარულ-ჰიგიენური პროდუქციის ევროპელ მწარმოებელთა შორის ლიდერის სტატუსით სარ-გებლობს. მის მიერ შემუშავებული სისტემები მოიცავს სამუალებათა სრულ სპექტრს, წყალმომარაგებით დაწყებული - სადრენაჟე სისტემებით დამთავრებული.

- ✓ კომპანიის მიერ წარმოებული მაღალი სიმკვრივის პოლიეთილენისგან დამზადებული სადრენაჟე სისტემა ოპტიმალურ წარმადობას უზრუნველყოფს. სისტემის მილები იოლად დუღდება ერთმანეთთან და გამოირჩევა ქიმიური, თერმული და მექანიკური მდგრადობით, წყალგაუმტარობითა და ხანგრძლივი საექსპლუატაციო ვადით. კომპანია ასევე აწარმოებს მექანიკურ მოწყობილობებს, როგორიცაა სარქველები, მილსადენის აქსესუარები და შემაერთებლები.

- ✓ მნიშვნელოვნად გაზრდილი მასის გამო, Geberit Silent-db20 ხმაურის იზოლირების საკმაოდ კარგი თვისებით გამოირჩევა. მისი წიბოები ვიბრაციის შემაკავებელ ფუნქციას ასრულებენ, რის შედეგადაც მცირდება ხმაურის გავრცელება.

- ✓ Geberit Pluvia სადრენაჟე სისტემის შემადგენლობაში შედის სახურავზე დამონტაჟებული ძაბრი, მილები და მაღალი სიმკვრივის პოლიეთილენისგან (HDPE) დამზადებული შემაერთებლები. ჩვეულებრივი სისტემებისგან განსხვავებით, Geberit Pluvia სიფონური სისტემის მეთოდით ფუნქციონირებს.

- ✓ წყლით მომარაგების სისტემები: Geberit Mapress და Geberit Mepla, რომლებიც აღჭურვილია ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო და ხანგრძლივი საექსპლუატაციო ვადის მქონე შემაერთებლებით.

tyco

Tyco გახლავთ ხანძარსაწინააღმდეგო და უსაფრთხოების სისტემების მწარმოებელი ლიდერი კომპანია. ის მუდმივად აუმჯობესებს თავდაცვისა და უსაფრთხოების საშუალებებს, რაც ხელს უწყობს ბიზნესის უკეთესად წარმოებას ადამიანებისათვის უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფის გზით.

მომარაგება, პროექტირება, მონტაჟი, მონიტორინგი, სარემონტო და საკონტროლო-საზედამხედველო მომსახურებები შემდეგი ხანძარსაწინააღმდეგო სისტემებისთვის:

- ✓ ხანძარქრობა წყლის გამოყენებით: სპრინკლერული, დრენჩერული და თქორის წარმომქნელის სისტებემი
- ✓ მექანიკური პროდუქცია: სარქველები, მილსადენები და შემაერთებლები საინჟინრო და საპროექტო სისტემებისათვის
- ✓ სამზარეულოს უსაფრთხოების სისტემები
- ✓ განსაკუთრებული სისტემები: ქაფი და ქაფის წარმომქმნელი მოწყობილობები; ხანძარსაქრობი ქიმიური ნივთიერებები და ინერტული გაზები
- ✓ ავტოტრანსპორტის უსაფრთხოების სისტემები
- ✓ განგაშის დროს მასობრივი შეტყობინების სისტემები
- ✓ ხანძრის გამომვლენი (დეტექციის) და განგაშის მაუწყებელი სისტემები

ТЕПЛОЛЮКС
живи комфортно

კომპანია 1991 წელს დაარსდა და ის დღეისათვის რუსეთის უდიდეს და მსოფლიოში ერთ-ერთ უმსხვილეს კომპანიად გვევლინება, რომელიც საცხოვრებელი და კომერციული შენობა-ნაგებობებისთვის განკუთვნილ გათბობის სისტემებს აწარმოებს. წარმოებული პროდუქცია რუსეთის მთელ ტერიტორიაზე და მსოფლიოს 40-ზე მეტ ქვეყანაში იგზავნება.

პროდუქცია:

- ✓ ელექტროგათბობის სისტემები
- ✓ ტერასების, სახურავების, გზების, პანდუსების გათბობა (მოყინვისგან დაცვა)
- ✓ ტემპერატურის შენარჩუნება; იატაკის ქვეშ დასამონტაჟებელი გათბობის სისტემები
- ✓ სახურავის გასათბობად განკუთვნილი სისტემები
- ✓ სარკეების გათბობა, სინესტისგან და ობისგან დაცვა
- ✓ უჟანგავი ფოლადის გოფრირებული მილები გათბობისთვის და გაზის სისტემებისთვის
- ✓ წყლის გაჟონვისგან დამცავი მოწყობილობები
- ✓ ჩამრთველები და შტეფსელები

K-FLEX

K-FLEX გახლავთ თერმული და აკუსტიკური იზოლაციის კომპონენტების მწარმოებელი ლიდერი კომპანია. მასი ქსელი მთელ მსოფლიოს მოიცავს. კომპანიის მიერ წარმოებული მრავალფეროვანი პროდუქცია მსოფლიო ბაზრის ისეთი სექტორებისთვის არის განკუთვნილი, როგორიცაა მშენებლობა, ტრანსპორტი, განახლებადი ენერგიის გამომუშავება, გაზისა და ნავთობპროდუქტების წარმოება.

გარდა UNI EN ISO 9001:2008-სა, კომპანიას მიღებული აქვს ათასზე მეტი სერტიფიკატი, რაც მასი პროდუქციის ხარისხის, სანდოობისა და მაღალი სტანდარტის გარანტიად გვევლინება.

პროდუქცია:

თერმული და აკუსტიკური იზოლაციისთვის საჭირო მასალები.

Nullifire
Enhancing Fire Protection

კომპანია აწარმოებს როგორც ხანძარსაწინააღმდეგო (აალების საწინააღმდეგო) დამცავ საფარ საშუალებებს, ასევე ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის პასიურ სისტემებს.

კომპანია გთავაზობთ შენობის დაცვის სრულ პაკეტს.

2015 წელს შპს „აი სი ტი“ გახდა Nullifire (Tremco-illbruck group)-ის ავტორიზებული პარტნიორი, რომლის თანამშრომლებს გავლილი აქვთ სპეციალური სასწავლო კურსი, რაც მათ უფლებამოსილს ხდის, მოახდინონ ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის პასიური სისტემების რეალიზაცია და მონტაჟი საქართველოს ტერიტორიაზე.

KAMPMANN
Genau mein Klima.

ბაზრის ღრმად შესწავლისა და სწორი ხედვის წყალობით Kampmann GmbH ერთ-ერთ წამყვან საერთაშორისო კომპანიად იქცა გათბობის, გაგრილების, ვენტილაციისა და შენობების ინტეგრირებული ავტომატიზაციის სისტემათა დარგებში.

პროდუქცია:

- ✓ გათბობის კონვექციური სისტემები (კონვექტორები)
- ✓ გათბობის პერიმეტრული სისტემები
- ✓ დეკორატიული სავენტილაციო გისოსები
- ✓ კარის სითბური ფარდები
- ✓ გამათბობელი აგრეგატები
- ✓ კონდიცირების სისტემები
- ✓ სავენტილაციო დანადგარები

„აი სი ტი“-ს უშუალო პარტნიორია:

VIESSMANN

Viessmann Group გახლავთ გათბობის სისტემების მწარმოებელი საერთაშორისო კომპანია, რომლის სათაო ოფისი გერმანიის ქალაქ ალენდორფში მდებარეობს. ჯგუფი მართავს 11 ქვეყანაში განთავსებულ 27 საწარმოსა და საპროექტო დანაყოფს, რომლის პროდუქცია 74 ქვეყანაშია წარმოდგენილი. მსოფლიო მასშტაბით კომპანია ფლობს 32 შვილობილ კომპანიასა და 120-მდე კომერციულ წარმომადგენლობას.

პროდუქცია:

✓ გათბობის, სამაცივრო და საწარმოო სისტემები

დასრულებული მასშტაბური პროექტები:

საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრალური რეფერალური ლაბორატორია (CPHRL), თბილისი: Behtel-თან თანამშრომლობით. Pluvia-ს წვიმის წყლის სამართავი სისტემა.
პროექტირება, მასალის მიწოდება და მონტაჟი

ავერსის ფარმაცევტული ქარხანა: წყალმომარაგებისა და მილსადენის სიტემა.
პროექტირება, მასალის მიწოდება და მონტაჟი

„აფთაუნ თბილისი“ („თბილისი მოლი“): Pluvia-ს წვიმის წყლის მოცილების ვაკუუმური სისტემა; სავენტილაციო სისტემა; სპრინკლერული სისტემა (ნაწილობრივ)

საქართველოს პრეზიდენტის სასახლე: გამდინარე და წვიმის წყლის მოცილების ვაკუუმური სისტემა; გაზმომარაგების სისტემა

კოპიტნარის აეროპორტი (ქუთაისი): Pluvia-ს წვიმის წყლის მოცილების ვაკუუმური სისტემა
პროექტირება, მასალის მიწოდება და მონტაჟი

სასტუმრო Kempinski Hotel ბათუმში: Pluvia-ს წვიმის წყლის მოცილების ვაკუუმური სისტემა; სავენტილაციო სისტემა; სპრინკლერული სისტემა
პროექტირება, მასალის მიწოდება და მონტაჟი

„გლდანი მოლი“: Pluvia-ს წვიმის წყლის მოცილების ვაკუუმური სისტემა
პროექტირება, მასალის მიწოდება და მონტაჟი

იუსტიციის სახლი (ზუგდიდი): Pluvia-ს წვიმის წყლის მოცილების ვაკუუმური სისტემა
პროექტირება, მასალის მიწოდება და მონტაჟი

„მერანი“ (კომერციული შენობა): Pluvia-ს წვიმის წყლის მოცილების ვაკუუმური სისტემა
პროექტირება, მასალის მიწოდება და მონტაჟი

სასტუმრო „პარაგრაფი“, ზამთრის ბაღი: წვიმის წყლის მოცილების ვაკუუმური სისტემა
მასალის მიწოდება და მონტაჟი

იუსტიციის სახლი (თბილისი): წვიმის წყლის მოცილების ვაკუუმური სისტემა
პროექტირება, მასალის მიწოდება და მონტაჟი

სასტუმრო „რედისონი წინანდალი“: სახურავიდან და აივნებიდან წვიმის წყლის მოცილების სისტემა
პროექტირება, მასალის მიწოდება და მონტაჟი

სასტუმრო Le Méridien Hotel: წვიმის წყლის მოცილების ვაკუუმური სისტემა
პროექტირება, მასალის მიწოდება და მონტაჟი

კურორტი „კოხტა-მიტარბი“: წვიმის წყლის მოცილების ვაკუუმური სისტემა; სახურავის გათბობისა და თოვლის დნობის სისტემა
პროექტირება, მასალის მიწოდება და მონტაჟი

საცხოვრებელი კორპუსი „ჰუალინგის დასახლებაში“ (თბილისი): ხანძრის გამოვლენის სისტემა
პროექტირება, მასალის მიწოდება და მონტაჟი

ქარხანა Pepsico Wimm-Bill-Dann Georgia (თბილისი): აქტიური ხანძარდაცვის სისტემა (ხანძრის გამოვლენისა და ხანძარქრობის სპრინკლერული სისტემები)
FM Global-ის ზედამხედველობით

სპორტული კომპლექსი ბათუმში: გაზით ხანძარქრობის სისტემა FM200

სასტუმრო და საცხ. კორპუსი გუდაურში: სახურავისა და ტერასების მაგისტილური გათბობა
პროექტირება, მასალის მიწოდება და მონტაჟი

„სითი მოლი თბილისი“: Pluvia-ს წვიმის წყლის მოცილების ვაკუუმური სისტემა
პროექტირება, მასალის მიწოდება და მონტაჟი

შპს „ქერვან ტურიზმი“, სასტუმრო „დივანი“: სახანძრო უსაფრთხოების მოწყობა
პროექტირება, მასალის მიწოდება და მონტაჟი

შპს „სითი ლოფტი“, სასტუმრო „სტამბა“ და სასტუმრო „თბილისი რუმსი“: სახურავიდან წყლის მოშორების ვაკუუმური სისტემისა (Geberit Pluvia) და გამათბობელი კაბელების მოწყობა
მასალის მიწოდება და მონტაჟი

სასტუმრო Sheraton Grand Tbilisi Metechi Hotel: ხანძარსაწინააღმდეგო სისტემისა (FM200) და სახანძრო ტუმბოების ტესტირება და ტექმომსახურება

სასტუმრო „ჰილტონი“ ბათუმში: ხანძარსაწინააღმდეგო სისტემების (FM200 და Ansul) ტესტირება და ტექმომსახურება

სამედიცინო დიაგნოსტიკური ცენტრი ბათუმში: სახანძრო სიგნალიზაციისა და ვიდეოსამეთვალყურეო სისტემები; კომპიუტერული ქსელები
მასალის მიწოდება და მონტაჟი

შპს „თაბორი რიზორთსი“, „პანორამა თბილისის“ პროექტი: მილგაყვანილობის სისტემის ხმის იზოლაცია (K-flex); სახურავიდან წყლის მოშორების სისტემა (Geberit)
მასალის მიწოდება და მონტაჟი

შპს „თბილისი სითი“, „პანორამა თბილისის“ პროექტის ნაწილი - სასტუმრო თავისუფლების მოედანზე: გამათბობელი კაბელების მოწყობა
მასალის მიწოდება და მონტაჟი

შპს „ალიანსი“, სასტუმრო „ალიანს პალასი:“ ჩილერების ხმის საიზოლაციო პანელების მოწყობა
პროექტირება, მასალის მიწოდება და მონტაჟი

მიმდინარე პროექტები:

შპს „თოდუას კლინიკა“, თოდუას კლინიკა ვერა“ - აკადემიკოს ფრიდონ თოდუას სახელობის მრავალპროფილური სამედიცინო ცენტრი: საინჟინრო სისტემების სრული უზრუნველყოფა
პროექტირება, მასალის მიწოდება და მონტაჟი